

განმარტებითი ბარათი

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ვინაიდან საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტი აღარ ითვალისწინებს დროებითი შენახვის ღია საბაჟო საწყობისა და დროებითი შენახვის დახურილი საბაჟო საწყობის დეფინიციას, აუცილებელი ხდება ცვლილება სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ადგენს დროებითი შენახვის ღია საბაჟო საწყობისა და დროებითი შენახვის დახურილი საბაჟო საწყობის სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტთან ამ კანონის შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ცვლილება ითვალისწინებს სანებართვო მოსაკრებლის არსებობას მხოლოდ საბაჟო საწყობის საქმიანობისათვის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ გამოიწვევს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ფინანსურ შედეგებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი ტექნიკურად ითვალისწინებს მოსაკრებლის გაუქმებას, მაგრამ პრინციპული ცვლილება ამ გაუქმებას არ მოყვება, ვინაიდან დღეს არსებული დროებითი შენახვის საბაჟო საწყობის ნებარვის მიღებით დაინტერესებულ პირს

(ნებართვის მაძიებელს) საშუალება ექნება აიღოს საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა, რომლითაც საბაჟო კოდექსის პროექტის საფუძველზე უფლება ექნება განახორციელოს დღეს არსებული დროებითი შენახვის საბაჟო საწყობის საქმიანობა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო

ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.